ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1470719

ნომერი: AR1248629

თარიღი : 04.09.2014

გაცემის თარიღი : 10.09.2014

გაცნობის თარიღი : 10.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 3ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამმად იზადი პ/ნ 61891001087
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 3ბ ბ. 75ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან სარეკონსტრუქციო ფართი მშენებარეა, შესაბამისად საკითხის განხილვა I კლასის კუთხით შეუძლებელია.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად უნდა შევიდეს ცვლილება ძირ პროექტში, რისთვისაც საკითხი უნდა დააყენოთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროეტის კორექტირების კუთხით.

იმ შემთხვევაში თუ ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში უნდა განაახლოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც ამოღებული იქნება წარწერა "მშენებარე", წარმოადგინოთ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია/ბრძანება და დამატებით შემდეგი დოკუმენტაცია:

- "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" დაწვრილებით აისახოს ჩასატარებელი სამუსაოების შესახებ.
- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟები (ინტერიერის დატანის გარეშე) გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.
- ვინაიდან წარმოდგენილი გეგმით ხდება ნაწილი მზიდი კედლების დემონტაჟი საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული კონსტრუქციული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ჩასატარებელი სამუშაოების მიზანშეწონილობის შესახებ.

ხოლო რაც შეეხება ფასადის მხრიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- ფასადის ორივე მხრიდან შორი მანძილიდან და სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული (მთელი ფასადის გამოჩენით) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟები დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.